12/04/2024

MES 8 24 0000421749

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 29 მარტს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Mar 29, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86811944706
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს კეტტარი გე
თეონა ჯაყელი - დირექტორი
თეიმურაზ ჯაფარიძე - პროექტის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი
კახაბერ კახიაშვილი - დირექტორის მოადგილე
ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ნათია გოგინაშვილი - იურისტი
ზურაბ გოჯიაშვილი - პარტნიორი ორგანიზაციის - შპს „ტირიფონის ხილის“ წარმომადგენელი

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა
ვახტანგ ბერიძე - დირექტორი
მაია ანანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს პეა
ნიცა მდივანი - დირექტორი
გურამ კაკაბაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი
თამთა ჭალიძე - „ციფრული რეკლამის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

ელისაბედ კირცხაია - „ციფრული რეკლამის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ლადო რაფავა
გიორგი სპანდერაშვილი
თამარ ახალაძე
მედეა თუთბერიძე
ლაშა ცაგარეიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს კეტტარი გე-ს „ინტელექტუარი საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში“ /01871/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს კეტტარი გე-ს „პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში“ /01870/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ /01862/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის „ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი“ /01859/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს პეას „ციფრული რეკლამა“ /01867/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს კეტტარი გე-სთვის „ინტელექტუარი საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ლადო რაფავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №202219 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა ლადო რაფავამ, შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ინტელექტუალური საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 1 მარტს განახორციელეს ვიზიტი, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში, მისამართზე, თბილისი, თ. ერისთავის ქ. 15 ა.

აღნიშნულ დაწესებულებაში შპს კეტტარი გე-ს 2024 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საკუთრებაში არსებული ფართი, კერძოდ, 2 სასწავლო გარემო (A და B გარემო) შეთანხმებული გრაფიკით, 18:30 დან 22:00 სთ-მდე ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის უფლების მოპოვებიდან 3 წლის განმავლობაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 19, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, თ. ერისთავის ქ. 15ა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კეტტარი აკადემია შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებს სთავაზობს სპეციალიზებულ ტრენინგებსა და კურსებს, რომელიც მორგებულია შემოქმედებითი პროფესიონალების საჭიროებებზე. ერთი წლის მანძილზე მომზადდა და განხორციელდა 8 საგანმანათლებლო კურსი, როგორც

თბილისში, ისე რეგიონებში, რომელთაც საერთო ჯამში დაესწრო 115 პირი. თითოეულ კურსზე ონლაინ რეგისტრირებულ მსურველთა საშუალო მაჩვენებელია 35-დან 85 ადამიანამდე, აღნიშნულმა აქტივობებმა აჩვენა ორგანიზაციის სამიზნე აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი. შპს „კეტტარი გე"-მ ჩაატარა შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების კვლევა. კვლევამ გამოავლინა პროგრამების პოტენციური მომხმარებლების საჭიროებები. წერილები გაეგზავნა შემდეგ ორგანიზაციებს: ა(ა)იპ „შემოქმედებითი ინდუსტრიების პლატფორმას", ა(ა)იპ „შემოქმედებითი ინდუსტრიების ასოციაციას", ა(ა)იპ „თბილისის სკულპტორთა და არქიტექტორთა ასოციაციას" და ა.შ. და გამოიკვეთა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სხვადასხვა ფორმებისა და სერვისების სწავლის საჭიროება, სამართლებრივი რეგულირების სწავლების საჭიროება, ინტელექტუალური საკუთრების მონეტიზაციის შესახებ სწავლების საჭიროება და ა. შ.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინგლისური ენა A2 დონე, კომპიუტერული უნარები სამომხმარებლო დონეზე (Word, Excel, Internet, Power Point). აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, კერძოდ, პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირაა, რომელიც მოიცავს 58 საკონტაქტო საათს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. ლექციები ინტერაქტიულ ფორმატში ჩატარდება, ფართოდ იქნება გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები, დისკუსია, გონებრივი იერიში, სასწავლო მასალების დემონსტრირება.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დისკუსია, ლექცია პრობლემის დასმით, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული სავარჯიშო.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 1 ჯგუფი, 19 მსმენელი. აღნიშნული ეფუძნება სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო A და B გარემოს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. მსმენელები რეალურ სამუშაო გარემოში შეიძენენ და განივითარებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა დასაქმებისთვის, ასევე, აღსანიშნავია, რომ მსმენელი აქტიურად იქნება ჩართული შპს კეტტარი გე-ს კომპანიაში მიმდინარე პროექტებში, სტარტაპებში და რეალურ გარემოში მიიღებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი პროგრამის შეფასების წესთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება პროგრამის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით, განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დადასტურდა როგორც გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
ექსპერტთა მიერ შემოწმდა მატერიალური რესურსი, შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს მსმენელებისა და განმახორციელებელი პირის შესაბამისი სასწავლო გარემოს აღჭურვას.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.
მესამე სტანდარტთან მიმართებაში აღინიშნა, რომ 3.1, 3.2 და 3.4 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია, ხოლო რაც შეეხება 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის მიერ საინტერესო პროგრამა იქნა წარმოდგენილი, მიესალმება ინოვაციური პროგრამების განხორციელების სურვილს და წარმატება უსურვა ორგანიზაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ სურვილი გამოეთქვათ მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, მან დასძინა, რომ ეს არის ინოვაციური პროდუქტი, კომპანია მუშაობს შემოქმედებითი ინდუსტრიების კუთხით, ასე კონსოლიდირებულად აქამდე არ იყო წარმოდგენილი, სანამ პრემიერ მინისტრმა არ დააანონსა, როგორც ერთ-ერთი პრიორირეტული სფერო. ეს არის კულტურის და შემოქმედებითი სფეროს კომერციალიზაცია, სერვისი და პროდუქტის შექმნა ამ სფეროში და მოიცავს 14 მიმართულებას, არქიტექტურა, დიზაინი, მოდის ინდუსტრია, ინტერიერის გრაფიკული დიზაინი, სახვითი ხელოვნება, კულტურა, ვიდეოფილმების წარმოება, სატელევიზიო, სარეკლამო ინდუსტრია, საშემსრულებლო ხელოვნება, როგორიცა თეატრი, ხელოვნება, ბალეტი და ცირკიც, კომპიუტერული პროგრამები, განსაკუთრებით თამაშები, სახელოვნებო განათლება ამ ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია, გასტრონომია, კულინარიული ინდუსტრია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რეწვა, რომელიც ძალიან პრიორიტეტულია თავისი მიმართულებებით და სხვ. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციამ გადაწყვეტილება მიიღო განეხორციელებინა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კეტტარი გე-სთვის „ინტელექტუარი საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კეტტარი გე-ს (ს/კ: 404637915) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ინტელექტუალური საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში /01871/ **(დანართი 1)**.

2. შპს კეტტარი გე-სთვის „პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გიორგი სპანდერაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №202220 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა გიორგი სპანდერაშვილმა, შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 4 მარტს განახორციელეს ვიზიტი, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში, მისამართზე, თბილისი, თ. ერისთავის ქ. 15ა. აღნიშნულ დაწესებულებაში შპს კეტტარი გე-ს 2024 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საკუთრებაში არსებული ფართი, კერძოდ 2 სასწავლო გარემო (A და B გარემო) შეთანხმებული გრაფიკით, 18:30 დან 22:00 სთ-მდე ორშაბათს, სამშაბათს ხუთშაბათს და პარასკევს. ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის უფლების მოპოვებიდან 3 წლის განმავლობაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 19, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, თ. ერისთავის ქ. 15ა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს კეტტარი გე -ემ ჩაატარა შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების კვლევა. კვლევამ გამოავლინა პროგრამის პოტენციური მომხმარებლების საჭიროებები. წერილები გაეგზავნა შემდეგ ორგანიზაციებს: ა(ა)იპ „შემოქმედებითი ინდუსტრიების პლატფორმას“, ა(ა)იპ „შემოქმედებითი ინდუსტრიების ასოციაციას“, ა(ა)იპ „თბილისის სკულპტორთა და არქიტექტორთა ასოციაციას“ ა.შ და გამოიკვეთა: შემოქმედებით ინდუსტრიებზე და მის თავისებურებებზე მეტი ინფორმაციის მიღების საჭიროება, საერთაშორისო და ადგილობრივი საპროექტო განაცხადების მომზადების სწავლების, პროექტების მართვის პროცესში კომუნიკაციის ხერხებისა და მარკეტინგული მეთოდების სწავლების, პროექტების ბიუჯეტის შედგენის სწავლების, პარტნიორებისა და ფონდების მოძიების სწავლების საჭიროება.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინგლისური ენა B1 დონე, კომპიუტერული უნარების ქონა სამომხმარებლო დონეზე (Word, Excel, Internet, Power Point). აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირაა, რომელიც მოიცავს 70 საკონტაქტო საათს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარება, თუმცა ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სწავლებაზეა გაკეთებული. ლექციები ინტერაქტიულ ფორმატში ჩატარდება, ფართოდ იქნება გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები, დისკუსია, გონებრივი იერიში, სასწავლო მასალების დემონსტრირება.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დისკუსია, ლექცია პრობლემის დასმით, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული სავარჯიშო.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 19 მსმენელი. აღნიშნული ეფუძნება სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო A და B გარემოს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. მსმენელები რეალურ სამუშაო გარემოში შეიძენენ და განივითარებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა დასაქმებისთვის, ასევე, აღსანიშნავია, რომ მსმენელი აქტიურად იქნება ჩართული შპს კეტტარი გე-ს კომპანიაში მიმდინარე პროექტებში, სტარტაპებში და რეალურ გარემოში მიიღებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

მსმენელის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღინიშნა, აღნიშნულ პროგრამაშიც შეფასება ხდება ანალოგიურად. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დადასტურდა როგორც გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა მატერიალური რესურსი, შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს მსმენელებისა და განმახორციელებელი პირის შესაბამისი სასწავლო გარემოს აღჭურვას, ასევე, ორგანიზაციას ჰყავს მაღალი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელი პირები, რაც იძლევა პროგრამის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან პირველი და მეორე საკითხი წარმოდგენილია ერთი და იმავე ორგანიზაციის მიერ.
საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, პროექტების მართვა იგულისხმებოდა ამ პროგრამაში, თუ პროექტების განვითარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო პროექტების მართვა, რომელიც თავისთავად მოიცავს პროექტის შედგენა და მართვას. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტერმინი პროექტების მართვა თავისთავად მოიცავდა პროექტების განვითარებას.
ნათია კვიციანი ასევე დაინტერესდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით და დასძინა, პროექტების მართვა, განვითარება არ არის ადვილი თემა და რამდენად რელევანტურია აღნიშნულ პროგრამისთვის განსაზღრული წინაპირობა.
ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ბევრად უფრო მცირე დროშიც ხორციელდებოდა პროგრამა და არ ყოფილა ამ კუთხით პრობლემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არ იყო უმაღლესი განათლების, ეს არის პროფესიული მომზადების პროგრამა და შესაბამისად ისეა განსაზღვრული თემატიკა, რომ ადეკვატურია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა 11 კვირაში პროგრამის განხორციელება, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს დრო საკმარისი იყო, მან დასძინა რომ 11 კვირაზე ნაკლებ დროშიც შესაძლებელი იყო სწავლის შედეგების მიღწევა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კეტტარი გე-სთვის „პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კეტტარი გე-ს (ს/კ: 404637915) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში /01870/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის „ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ლონდა მინდიაშვილმა და დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 29 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი პროგრამის განხორციელების მისამართზე - შპს „ტირიფონის ხილში“, მისამართი: გორის რაიონი, სოფ. კვარხეთი. გადამზადების პროგრამა „ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ განხორციელდება შპს „ტირიფონის ხილში“, ხოლო პროცესს ადმინისტრირებას გაუწევს ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის წარმომადგენლები.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა 34 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 30, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ბესიკის ქ. №2.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის და კერძოდ, მეხილეობის დარგის წარმატება უკავშირდება არამარტო მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებას, არამედ მიღებული მოსავლის შენახვის შესაძლებლობას მთელი წლის განმავლობაში. მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კადრების არსებობა, რომელმაც იცის ხილის შესანახი მაცივრების მართვა იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს მთელი წლის განმავლობაში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება - ა(ა) იპ კოლეჯი განთიადი და შპს „ტირიფონის ხილი“. პროგრამის შემუშავების ინიციატივა პროფესიული უნარების სააგენტოს და კერძო სექტორის (შპს „ტირიფონის ხილის“) წარმომადგენელთა შეხვედრის დროს გამოიკვეთა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კერძო სექტორის საჭიროებების უზრუნველყოფა, ხილის შენახვის სპეციალისტის დეფიციტი სამაცივრე მეურნეობებში. შპს „ტირიფონის ველი“ არის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც გეგმავს გააფართოოს წარმოება და გაზარდოს მასშტაბები. ცდილობს შემდგომშიც განახორციელოს მსგავსი პროექტები და მზადაა საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს სხვებს. ორგანიზაციის

საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის არის ორი საერთაშორისო სტანდარტის მფლობელი - ISO 22000 და Global Gap.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. აღნიშნულ პროგრამაზე მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა 30. სასწავლო პროცესი წარიმართება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე (შპს „ტირიფონის ხილი“), რომელსაც აქვს ყველანაირი რესურსი იმისათვის, რომ აწარმოოს ხილი, დაახარისხოს და შეინახოს ის შესაბამის გარემოში. ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია აწარმოებს და ინახავს ხილს, აქვს თანამედროვედ აღჭურვილი სამაცივრე კამერები, ინტენსიური ტიპის ხეხილის ბაღი, ხილის წარმოებისთვის საჭირო ინვენტარი, შესანახი და დასახარისხებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურა. იგი ყოველწლიურად აწარმოებს და ინახავს ვაშლს, ასევე ახდენს რეალიზაციას საქართველოს სავაჭრო ქსელების სხვადასხვა ობიექტებში. ობიექტი აღჭურვილია ყველა საჭირო დანადგარით, საწარმოო ტექნოლოგიური ხაზით და ის მზად არის მსმენელები დაუშვას საწარმოში და მისცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენების უფლება სასწავლო მიზნებისთვის. ორგანიზაცია დიდი ხანია თანამშრომლობს თურქ ექსპერტთან და სწორედ მის იდეას წარმოადგენს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება კოლეჯთან ერთად.
2023 წლის 25 ნოემბერს „ტირიფონის ხილსა“ და კოლეჯ განთიადს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს, რომ ობიექტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის „ვაშლის, ალუბლის, მსხლის, ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ განხორციელებისათვის საჭირო ადამიანურ რესურსს.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ერთი განმახორციელებელი პირი, რომელიც არის თურქეთის მოქალაქე, მებაღე/ მეხილე/ტექნოლოგი, მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება მეხილეობის სფეროში, ასევე აკადემიური განათლება. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
ვინაიდან განმახორციელებელი პირი არის ინგლისურენოვანი, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასწავლო პროცესის შუფერხებლად წარმართვის უზრუნველსაყოფად გამოეყოთ თარჯიმანი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება თარჯიმანთან, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროსესში სინქრონულ თარგმანს, ასევე სასწავლო რესურსების თარგმნას.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწეებულება, ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. მნიშვნელოვანია პროფესიული

მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების და მათი განხორციელების შედეგების სისტემატიური შეფასება, რისთვისაც გამოიყენება მსმენელთა, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელ პირთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ასევე, სწავლების პროცესში ხორციელდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების თავისებურებებზე, პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 თვე, სწავლება განხორციელდება ყოველთვიურად თითო კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა - 8 საათი. სასწავლო პროცესი ამგვარად დაგეგმილია სამაცივრე მეურნეობებში შენახულ მოსავალზე დაკვირვებისა და ხარისხის შესაფასებლად, მათ შორის ნაყოფში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური დარღვევების შესაფასებლად. სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში შპს „ტირიფონის ხილთან“ თანამშრომლობით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის განმახორციელებელ პირთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო განმახორციელებელი პირი მხოლოდ ერთი და ისიც უცხოელი, სხვა განმახორციელებელი პირიც, ადგილობრივი, რომ ჩართულიყო პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით ალბათ უპრიანი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა არის 8 თვე. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, ვინაიდან პროგრამა არის ქართულენოვანი, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირი უცხოენოვანია, როგორ მოხდება აღნიშნული პროგრამის განხორციელების პროცესში თარჯიმნით უზრუნველყოფა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განმახორციელებელი პირი საერთაშორისო დონის ექსპერტია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ტრენინგებს ატარებს. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაგეგმილია თვეში მხოლოდ თითო კვირის განმავლობაში 8 საათი, შესაბამისად განმახორციელებელი პირისთვის მოქნილი გრაფიკია დაგეგმილი, რაც შეეხება თარჯიმანს, როგორც აღინიშნა, დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება ორ თარჯიმანთან, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სინქრონულ თარგმნას, ასევე სასწავლო რესურსების თარგმნას.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მიესალმება ამ პროგრამის განხორციელებას, მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს ასეთი პროგრამის შემოტანისთვის და დასძინა, რომ სწორედ ამ სახის პროექტები უნდა შემოდიოდეს, სადაც ჩართული იქნება სამი მხარე - დაწესებულება, დამსაქმებელი და საერთაშორისო ექსპერტი.
საბჭოს წევრმა თეა გულუამ განაცხადა, რომ სრულად იზიარებდა მარიკა ზაქარეიშვილის პათოსს და დასძინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი სახის პროგრამის განხორციელება.

დარგის ექსპერტმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაისვა კითხვა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ უცხოენოვან პირთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ ვიზიტის პერიოდში გაფორმდა დაწესებულების მხრიდან ხელშეკრულება ორ თარჯიმანთან, რომლებიც სინქრონულად თარგმნიან მთლიანად პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის „ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა /01862/ **(დანართი 3)**.

15:20 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნათია კვიციანმა
15:39 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ

4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მედეა თუთბერიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) 2024 წლის 5 თებერვლის №112625 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, მედეა თუთბერიძემ განახორციელეს ვიზიტი, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში (შემდგომში - სკოლა) (მის: ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. № 11.)

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში არ არის განსაზღვრული პროგრამის სწავლების დროს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა და პროგრამის განმახორციელებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ პროგრამის სწავლებისას გამოყენებული იქნება, განმავითარებელი შეფასება მე-13 კვირის ბოლოს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება პროგრამით განსაზღვრულ ბოლო სასწავლო კვირას (26 -ე კვირაში). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში განისაზღვროს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რადგან მსმენელი/აპლიკანტი ინფორმირებული იყოს ამის შესახებ.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 26 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქ. №11.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - ,,პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამ(ებ)ის განხორციელების საჭიროების დასაბუთება''. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის „ფოლკლორულ–ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ–აკომპანიატორი“ საჭიროების გამოვლენისთვის განხორციელებული კვლევის ანგარიშს.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ აჭარაში არსებული სამი სახელმწიფო აკადემიური, ათი მუნიციპალური და კერძო ანსამბლები, ასევე დარგის სპეციალისტები და კულტურის სფეროს ორგანიზაციები მზად არიან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ითანამშრომლონ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლასთან.

პროგრამა შედგენილია სხვადასხვა ანსამბლის მუსიკოსებთან კონსულტაციით იმ ნაკლოვანებების გათვალისწინებით, რა გამოწვევის წინაშეც დგას აღნიშნული დარგი.

მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, კულტურის სფეროს ორგანიზაციებს, დაეხმარება შეინარჩუნოს ის მაღალი ხარისხი რაც ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების განმავლობაში არაერთხელ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასევე აპლიკანტმა უნდა იცოდეს ნებისმიერ ხალხურ ინსტრუმენტზე დაკვრა.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობაა 26 კვირა, ჯამში - 390 საათი. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ლექცია; დემონსტრირება; პრაქტიკული სავარჯიშო; ინსტრუქტაჟი. ამდენად, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

დაწესებულებას პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა მიღწევების შეფასებისთვის განსაზღვრული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და

განმსაზღვრელი. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს 3 მათგანთან მოხდა გასაუბრება. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით, ასევე მათთან გასაუბრებით.
იურიდიული პირის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა -10. იურიდიულ პირს გააჩნია ქ. ბათუმში, გ. ტაბიძის ქ. №11-ში არსებული სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი ფართი, სადაც არის A და C სასწავლო გარემო, რომელიც განკუთვნილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტისთვის.
დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს 2 C სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სრულად დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას აქვს გამოცდილება მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების, წარმატებით ახორციელებს რამდენიმე პროგრამას, რაც დაუდასტურა დაწესებულების დირექტორმა და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი /01859/ **(დანართი 4)**.

5. შპს პეასთვის „ციფრული რეკლამა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ლაშა ცაგარეიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) 2024 წლის 9 თებერვლის №136982 და 2024 წლის 04 მარტის №256909 (ცვლილების შეტანის თაობაზე) ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ლაშა ცაგარეიშვილმა განახორციელეს ვიზიტი, შპს პეაში, (შემდგომში - კომპანია) მისამართი, ქ.თბილისი. წინამძღვრიშვილის ქ. №115ბ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „ციფრული რეკლამა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 75, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №115ბ.

პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამით გათვალისწინებული მე-9 სასწავლო კვირის ერთ - ერთი სასწავლო თემატიკა ,,SMS მარკეტინგია''. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა. სასწავლო პროცესი განხორციელდება A და B სასწავლო გარემოში. მსმენელის პრაქტიკული დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულებისას, მის მუშაობას, მუდმივ რეჟიმში თვალს ადევნებს განმახორციელებელი პირი.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული სავარჯიშოების და მეცადინეობების განხორციელება შესაძლებელია ორგანიზაციის A/B გარემოშიც და ელექტრონულ პლატფორმაზე. ვიზიტის დროს ექსპერტმა და განმახორციელებელმა პირებმა ისაუბრეს პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული სწავლების განაწილებაზე. სწავლების დროის მნიშნველოვანი ნაწილი, ლექციებთან და გამოკითხვებთან ერთად, ეთმობა პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც ამ სფეროში სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მაღალკვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც პრაქტიკული დავალებებით გაამრავალფეროვნებენ სწავლების პროცესს. წარმოდგენილი პროგრამის შესწავლა უზრუნველყოფს სარეკლამო აქტივობების დაგეგმისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, პროგრამის ადმინისტრირებას, დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტოები.
დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ბოლოს განაცხადა, რომ შპს პეას ციფრულ ინდუსტრიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული. განსაკუთრებით საყურადღებოა ციფრული მედია და საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია. ბეჭდური მედია და ტელევიზია დღესდღეობით რეკლამის მთავარი წყარო აღარ არის და გადატანილია ციფრულ არხებში - საძიებო სისტემა, სოციალური მედია.
დარგის ექსპერტმა ბოლოს კომენტარი გააკეთა, მან აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული მე-9 სასწავლო კვირის ერთ-ერთი სასწავლო თემატიკა „SMS მარკეტინგია“. პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს, სიღრმისეულად იქნა გამოკითხული SMS მარკეტინგთან დაკავშირებული დეტალები. მათ განმარტეს, რომ აღნიშნული თემატიკა დამატებით, ასევე მოიცავს საკანონმდებლო რეგულაციებს და ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გაცნობას, რასაც ექსპერტი ეთანხმება, რადგან აღნიშნული კანონის ცოდნა მსმენელს დაეხმარება შემდგომში საქმიანობის უკეთ წარმართვაში.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს პეას აქვს გამოცდილება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების, მან დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამაც წარმატებით განხორციელდებოდა შპს პეას გამოცდილებიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმატი მნიშვნელოვანი იყო, და ამ კუთხით ამ პროგრამასთან მიმართებაში სასწავლო პროცესის ფორმატით დაინტერესდა.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლება მიმდინარეობს ფიზიკურ სივრცეში, გარკვეულ შემთხვევაში მეცადინეობის ვიდეოჩანაწერი კეთდება, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეასთვის „ციფრული რეკლამა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პეას (ს/კ: 405479101) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ციფრული რეკლამა /01867/ **(დანართი 5)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01871	ინტელექტუალური საკუთრება და მისი მონეტიზაცია შემოქმედებით ინდუსტრიებში	მომზადება	მეოთხე	9	ქართული	19	ქ. თბილისი, თ. ერისთავის 15ა

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01870	პროექტების მართვა შემოქმედებით ინდუსტრიებში	მომზადება	მეოთხე	11	ქართული	19	ქ. თბილისი, თ. ერისთავის 15ა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01862	ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა	გადამზადება	მესამე	34	ქართული	30	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01859	ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი	მომზადება	მეოთხე	26	ქართული	10	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01867	ციფრული რეკლამა	მომზადება	მეხუთე	10	ქართული	75	ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №115ბ